

## ნატო - მსოფლიო უსაფრთხოების გარანტი

ავტორი: გვანცა კვარაცხელია  
საქართველოს უნივერსიტეტი

სტუდენტური კონფერენცია „საქართველო და ნატო – გამოწვევები და  
სამომავლო პერსპექტივები”

23-24 დეკემბერი, 2020

ნატოს შესახებ საუბარი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდის მიმოხილვით უნდა დავიწყოთ ალბათ. 1945 წელს ევროპის ორ ნაწილად დაყოფამ თითქმის ნახევარი საუკუნით განსაზღვრა ამ კონტინენტის, ევროატლანტიკური არეალისა და მილიონობით ადამიანის ბედი. მეორე მსოფლიო ომის დროს სამი მოკავშირის (აშშ-ს, დიდი ბრიტანეთისა და სსრკ-ს) გამარჯვებამ შექმნა მოლოდინი, რომ ევროპის კონტინენტზე ჰარმონიული თანაცხოვრება და სტაბილური განვითარება იქნებოდა შესაძლებელი. სამწუხაროდ, ეს მხოლოდ ილუზია იყო იმ დროისათვის. დასავლეთ ევროპელი ლიდერები და მათი მოკავშირეები რეალისტურად აფასებდნენ საბჭოთა კავშირის ექსპანსიური პოლიტიკიდან მომდინარე საფრთხეებს. ცხადი იყო, რომ გამარჯვებულმა საბჭოთა კავშირმა ევროპაში ფაშისტური დიქტატურის ჩანაცვლება არანაკლებ საფრთხის შემცველი კომუნისტური დიქტატურით განიზრახა. მაშინ, როცა დასავლეთ ევროპის ქვეყნებმა შეასრულეს ომის შემდგომ ნაკისრი ვალდებულებები, სამხედრო ძალების შემცირებასა და სამხედრო მოსამსახურეების დემობილიზაციასთან დაკავშირებით, საბჭოთა კავშირი არ ჩქარობდა ამ ვალდებულებების შესრულებას და ევროპის კონტინენტზე სამხედრო ძალების სრულ შემადგენლობას ინარჩუნებდა.

ნატო არის აქტიური და ლიდერი მშვიდობის დაცვის საკითხებში მსოფლიოს მასშტაბით. ცდილობს მშვიდობიანი გზებით მოაგვაროს მსოფლიოში არსებული პრობლემური საკითხები, თუმცა დიპლომატიური ხერხების გარდა ძალისმიერ მეთოდებსაც იყენებს – სამხედრო შენაერთებს, ურომლისოდაც რეალური შედეგის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა.

დღესდღეობით ნატო ლიდერი ორგანიზაციაა მსოფლიო მასშტაბით კრიზისული სიტუაციების მოგვარების თვალსაზრისით, რომელიც დაახლოებით **18 000** სამხედროს იყენებს სხვადასხვა მისიებში სახმელეთო თუ საჰაერო ოპერაციების შესასრულებლად. ავღანეთში, კოსოვოსა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში ახორციელებს ანტიტერორისტულ ოპერაციებს, ეხმარება აფრიკის კავშირს და ცდილობს ლტოლვილებისა და მიგრანტების პრობლემის მოგვარებას. ასევე, აწარმოებს

მისიებს მოსახლეობის ბუნებრივი, ტექნოლოგიური და ადამიანური კატასტროფებისაგან დასაცავად.

მოკლედ მიმოვიხილოთ თითოეული მათგანი:

**მისია კოსოვოში** – მისიაში მონაწილეობს დაახლოებით 4.500 სამხედრო, წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან. ნატოს ჯარები კოსოვოში 1999 წელს შევიდნენ და მათი მიზანი რეგიონში არსებული ძალადობის აღკვეთა იყო. ნატო მხარს უჭერს და აღიარებს 2008 წლის თებერვლის კოსოვოს დამოუკიდებლობის დეკლარაციას. ალიანსის მხარდაჭერით შეიქმნა მულტი-ეთნიკური და პროფესიონალური კოსოვოს დაცვის შეიარაღებული ძალები, რომლებიც უზრუნველყოფენ ტერიტორიის დაცვას და მათ გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვთ ვიდრე ადგილობრივ პოლიციას. ნატო ცდილობდა მხარეებს შორის მშვიდობის დამყარებასა და მოსახლეობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. საბოლოოდ მიაღწია კიდეც მიზანს, ვინაიდან დაიწყო დიპლომატიური მოლაპარაკებები სერბეთსა და კოსოვოს შორის.

**მისია ავღანეთში** – ნატო მშვიდობიანი ოპერაციების მომხრეა და ეხმარება ავღანეთის ჯარს განვითარებაში, ატარებს სამხედრო წვრთნებს, აწვდის კონსულტაციებს და. ა.შ. 2015 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა ნატოს ახალი რეზოლუცია სახელწოდებით „მტკიცე მხარდაჭერა“ (Resolute Support), რომელიც 13 000 სამხედროს აერთიანებს წევრი და პარტნიორი ქვეყნებიდან. თავდაპირველად ნატო მიზნად ისახავდა ქაბულის მიმდებარე ტერიტორიების დაკავება და ჰამიდ ქარზაის მთავრობის ხელშეწყობას, რაც ფართომასშტაბიან თანამშრომლობაში გადაიზარდა. ალიანსი ავღანურ მხარეს აწვდის სხვადასხვა გეგმებს, ადგენს ბიუჯეტს, ახორციელებს ბაზების პროგრამულ უზრუნველყოფას, ეხმარება სამართლებრივი გარემოს სრულყოფაში.

**ხმელთაშუაზღვის დაცვა** – ნატოს ოპერაციები მხოლოდ კონფლიქტურ რეგიონებით არ შემოიფარგლება, იგი ცდილობს ტერორიზმისგან დაიცვას ალიანსის წევრი ქვეყნები. ტერაქტების შემდეგ სამოქმედო არეალი გააფართოვა და ხმელთაშუა ზღვისპირეთის დაცვა დაიწყო. 2001 წლის ოქტომბერში განახორციელა სამეთვალყურეო ოპერაცია ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებში, რომლის მიზანი ტერორიზმის ყოველგვარი საფრთხეების აღმოფხვრა იყო. ეს ოპერაცია 2016 წლის ოქტომბერში დასრულდა, თუმცა თავდაცვითი ღონისძიებები დღესაც გრძელდება, რომელთა მიზანია საზღვაო სივრცის შესწავლა, ტერორიზმის პრევენცია, უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ა.შ.

**აფრიკის კავშირის მხარდაჭერა** - ჩრდილოატლანტიკური რეგიონის გარდა ნატო განაგრძობს სამშვიდობო მისიებს მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ალიანსი 2007 წლიდან აქტიურად ეხმარება აფრიკის კავშირს, შედეგად კი სომალიში მშვიდობის დამცველები გააგზავნა.

ამ მისიების გარდა ნატო სხვა უამრავ ოპერაციებს ახორციელებს მშვიდობიანი გარემოს შექმნისა და ტერორიზმის გაუნებელყოფის მიზნით. რუსეთის მიერ უკრაინის ტერიტორიის ოკუპაციის შემდეგ ნატომ გააქტიურა საჰაერო ძალები და ექსპანსიური პოლიტიკის წინააღმდეგ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა. ბოლო დროინდელი მოვლენებიდან გამომდინარე აქტუალურია კითხვა, **თუ რამდენად დაცულია დასავლეთ ევროპა და უზრუნველყოფს თუ არა ნატო ამ ქვეყნებისთვის უსაფრთხო გარემოს.**

საბჭოთა კავშირი აღარ არსებობს, თუმცა მისი მემკვიდრე, რუსეთი, კვლავ განაგრძობს ექსპანსიას, რისი მაგალითიცაა უკრაინის ტერიტორიის ოკუპაცია. ამ ფაქტის შემდეგ მედიაში სკეპტიკური მოსაზრებები გაჩნდა იმის შესახებ, თუ რამდენად შეუძლია ნატოს გაუმკლავდეს თანამედროვე გამოწვევებს. თუ რუსეთი გააგრძელებს ექსპანსიას, რამდენად შესწევს ალიანსს ძალა შეაჩეროს მისი დამპყრობლური პოლიტიკა და, ამასთან, ებრძოდეს ტერორიზმს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. **რა ხარისხითაა ნატო მშვიდობის გარანტი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის?**

ნატოს მთავარ იარაღად რჩება კოლექტიური თავდაცვის პრინციპი – წევრ სახელმწიფოზე თავდასხმა განიხილება, როგორც ალიანსში შემავალ ყველა სახელმწიფოზე თავდასხმა. შესაბამისად რუსეთის მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ძალადობრივ ქმედებას დაუყოვნებლივ მოჰყვება შესაბამისი რეაქცია წევრი სახელმწიფოების მხრიდან. ჩრდილოატლანტიკური ალიანსისთვის ყოველთვის პრიორიტეტულია კონფლიქტის მოგვარების მშვიდობიანი და დიპლომატიური გზები, თუმცა თუ რუსეთი გააგრძელებს ტერიტორიების მითვისებას ნატო იძულებული იქნება ძალისმიერი მეთოდები გამოიყენოს.

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსს გააჩნია ანგარიშგასაწევი ფინანსური და მატერიალური რესურსები. 28 წევრი ქვეყანა მზადაა დაიცვას ორგანიზაციის პრინციპები და იმოქმედოს შეთანხმების საფუძველზე. კოლექტიური თვითდაცვა აიძულებს სხვა ქვეყნებს თავი შეიკავონ ძალადობრივი მეთოდებისგან. რუსეთი ვერ გაბედავს შეუტოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, რადგან ეს ავტომატურად გულისხმობს ისეთ ძალასთან დაპირისპირებას, რომელსაც უამრავი რესურსი ექნება რუსეთის დასამარცხებლად. დიდი ბრიტანეთისთვის რუსეთი არ არის იმდენად სახიფათო, როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისათვის, თუმცა საფრთხის თავიდან ასაცილებლად მზად არის მანაც გაიღოს ხარჯები. ნატოს აქვს ერთიანი სტრუქტურა, სადაც თითოეული წევრი შეთანხმებულად მუშაობს და ითვალისწინებს სხვა სახელმწიფოების აზრს. ყავს მუდმივი ჯარი, რომელიც შედგება წევრ სახელმწიფოების სამხედროებისაგან. ალიანსის ერთ-ერთი იარაღია ეკონომიკა, რომელიც სტაბილურობის შენარჩუნების მნიშვნელოვანი წინაპირობაა. ასევე, ორგანიზაციას კარგად გამოსდის ომის საფრთხეების შემცირება. ამისი ნათელი

მაგალითი იყო ცივი ომის პერიოდი, როდესაც ნატომ შეძლო ძალადობრივი შეტევების პრევენცია.

ნატო მუდმივად ცდილობს იპოვოს კრიზისული სიტუაციის დაძლევის გზები, რაც, ხშირ შემთხვევაში, ამართლებს კიდევ. ამისი მაგალითი იყო *1995 წელს ბოსნიის ომი*, რომელიც ნატოს ძალისხმევით შედეგად დასრულდა. დღესდღეობით დასავლეთ ევროპას ტერორიზმისა და რუსეთის შესაძლო თავდასხმის ემინია. ნატო აწარმოებს ანტიტერორისტულ ოპერაციებს სხვადასხვა რეგიონში, რაც ევროპასაც უქმნის უსაფრთხოების გარანტიებს. მართალია, ბოლო დროს გახშირდა ტერაქტები ევროპის ქვეყნებში, თუმცა, ვიმედოვნებთ, სიტუაცია დროთა განმავლობაში დასტაბილურდება და კრიზისულ მდგომარეობას მშვიდობიანი გარემო ჩაანაცვლებს, ამის თქმის საშუალებას გვაძლევს წარსული გამოცდილება და ორგანიზაციის რესურსები. რაც შეეხება, რუსეთის მოსალოდნელ თავდასხმას, ამ შემთხვევაში ამოქმედდება კოლექტიური თავდაცვის სისტემა, ნატო გამოიყენებს ყველა რესურსს აგრესიის შესაჩერებლად და ამას უზრუნველყოფს ალიანსის სტრუქტურული ერთიანობა. რუსეთი ვერც ბალტიისპირეთის ქვეყნებში გაბედავს ექსპანსიური პოლიტიკის გაგრძელებას. ნატო დიპლომატიური მისიით შეეცდება ომის თავიდან აცილებას, თუმცა თუ მშვიდობიანი მოლაპარაკება უშედეგოდ ჩაივლის ალიანსი ყველაფერს გააკეთებს ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოს დასაცავად.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნების მშვიდობა და უსაფრთხოება გარანტირებულია და ის ამოცანა, რომელიც ნატომ დაისახა წარმატებით სრულდება. სამშვიდობო მისიები, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა, ეკონომიკური და ტექნიკური დახმარებები უმთავრესი გარანტია ევროპის ქვეყნების უსაფრთხოებისთვის. წარსული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ნატოს შესწევს ძალა კვლავ დაიცვას საკუთარი წევრი სახელმწიფოები, რისთვისაც თავის მთელ რესურსებს იყენებს.

უსაფრთხოება და მშვიდობიანობა წარმოადგენს ყოველივე კარგს ქვეყნისთვის. შესაბამისად, სახელმწიფოს მთავარი მიზანიც იგივეა, რადგან ისიც ერთგვარი აქტორია მსოფლიო ასპარეზზე, როგორც ინდივიდი სახელმწიფოში. მშვიდობიანობის შესანარჩუნებლად სახელმწიფოები სხვადასხვა გზასა და ხერხს მიმართავენ. თავდაცვისათვის გამოყოფილ რესურსებს ზრდიან სხვა რესურსების შემცირების საფუძველზე, ხელს უწყობენ საკუთარი სამხედროების წვრთნების გაზრდას, ახალ ტექნოლოგიებს ნერგავენ და ა.შ. ერთი სიტყვით, შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე მოქმედებენ და ირჩევენ საუკეთესო ვარიანტს. საერთაშორისო სისტემაში ერთ-ერთი აპრობირებული მეთოდია ალიანსების შექმნა ან წევრობა. სახელმწიფოები ქმნიან ალიანსებს, რათა უკეთ შეძლონ საკუთარი ქვეყნისა და მოსახლეობის დაცვა გარეშე თუ სხვა სახის საფრთხეებისაგან.

ძირითადად შედარებით სუსტი სახელმწიფოები ცდილობენ ამ ეგრეთწოდებულ კოალიციებში გაწევრიანებას, რადგან მათ უბრალოდ ბევრი გზა არ აქვთ დაიცვან თავი, თუმცა ეს გადაწყვეტილება ყოველთვის მომგებიანი როდია. სახელმწიფოები უნდა დარწმუნდნენ, რომ ამა თუ იმ ალიანსის წევრობა მათ მეტ სარგებელს მოუტანს ვიდრე წევრობამდე იღებდნენ. სწორედ რეალისტები ურჩევენ სახელმწიფოებს ღრმა ანალიზის შემდგომ გადაწყვიტონ გახდებიან თუ არა ალიანსის წევრები, რადგან არსებობს რამდენიმე შიშის ფაქტორი, რომლებიც ანალიზს მოითხოვს. უსაფრთხოება ის აუცილებელი პირობაა, რომლის გარეშეც ქვეყნის სახელმწიფოებრივი არსებობა წარმოუდგენელია. იგია ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, მეცნიერული... განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

საქართველოს მაღალგანვითარებულ სამყაროსთან თანაარსებობისა და პარტნიორობისათვის აუცილებლად ჭირდება განვითარების მაღალი დონე. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი სუვერენიტეტი სერიოზული საფრთხის წინაშე აღმოჩნდება. ქვეყნის შიდა არაერთი პრობლემა დაწყებული დეცენტრალიზებული ტერიტორიებით და დამთავრებული გართულებული კრიმინოგენური მოვლენებით, საშინაო თუ საგარეო, სუბიექტური თუ ობიექტური პოლიტიკური პროცესების შედეგია.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ევროპაში უსაფრთხოების განსაკუთრებული გარემოებები ჩამოყალიბდა. საბჭოთა კავშირს მომგებიანი პოზიცია ეკავა და ცდილობდა შექმნილი სტრატეგიული უპირატესობით მანიპულირებას. საბჭოთა კავშირის არმია უკუქცეული მტრის დევნისას ღრმად შეიჭრა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ტერიტორიაზე. მოახდინა პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, ასევე ავსტრიისა და გერმანიის ტერიტორიების ოკუპაცია და დაიკავა სტრატეგიული პოზიციები. ოკუპირებულ ქვეყნებში საბჭოთა კავშირი მოსკოვისადმი ლოიალურ და კომუნისტური იდეოლოგიის მიმდევარ რეჟიმებს ახალისებდა. ასევე ნათელი იყო, რომ საბჭოთა კავშირის ზრახვები აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებით არ შემოიფარგლებოდა. საბჭოთა კავშირის ლიდერს, სტალინს კომუნისტური იდეოლოგიის გავრცელება და მისი გავლენის სფეროს გაფართოება სურდა ცენტრალურ და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებში, კერძოდ საფრანგეთში, იტალიასა და საბერძნეთში, სადაც კომუნისტური იდეოლოგიისადმი სიმპათიით განწყობილი პოლიტიკური ძალების მომძლავრების ტენდენცია თვალში საცემი იყო. მოსალოდნელ საფრთხეზე 1946 წლის 5 მარტს ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ ფულტონში უინსტონ ჩერჩილმა (რომელიც დიდი ბრიტანეთის საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერის რანგში წარდგა) გაამახვილა ყურადღება და პირველად გამოიყენა ტერმინი „რკინის ფარდა“.

*რა განვითარებას განიცდიდა ნატო საინტერესოა წლების მანძილზე?*  
მრავალწლიანი არსებობის მანძილზე ჩრდილოატლანტიკურმა ორგანიზაციამ საერთაშორისო თვალსაზრისით ისტორიული მნიშვნელობის მქონე ცვლილებები

განახორციელა. ამ ცვლილებებიდან მინდა გამოვყო სამი ცვლილება, რომელიც ჩემი აზრით ისტორიული ფასეულობების მქონე ცვლილებად ითვლება. **პირველი** - ნატომ ბოლო მოუღო საუკუნეობრივ „სამოქალაქო ომს“ დასავლეთის ქვეყნებს შორის ტრანსატლანტიკურ და ევროპულ ბატონობაზე. **მეორე** - მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, შეერთებულმა შტატებმა თავისი ინიციატივით, თავის თავზე აიღო ევროპული ქვეყნების დაცვის ვალდებულება, რომლებიც განიცდიდნენ საბჭოურ ზეგავლენას.

**მესამე** - ალიანსმა მიაღწია ისეთ მნიშვნელობის მქონე შეთანხმებას, როგორც ცივი ომის მშვიდობიანი დასრულება იყო, სწორედ ამ ფაქტმა მოახდინა დემოკრატიული ევროპული კავშირის გაფართოვების წინაპირობის შექმნა. დღეს ნატო მსოფლიო უსაფრთხოებაში უპრეცედენტო საფრთხეებს აწყდება. ჩვენი დროის პარადოქსი იმაში მდგომარეობს, რომ მსოფლიო, რომელიც სულ უფრო ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთდამოკიდებული ხდება, მუდმივად მზარდ სახალხო არეულობებსა და მღელვარებას განიცდის, თუმცა ქაოსის ამ მზარდ საფრთხესთან ბრძოლისთვის, რომელიც ბოლო დროს კაცობრიობის პოლიტიკური გამოფხიზლების შედეგია, გლობალური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად არ არსებობს ეფექტური მექანიზმი.

ნატოს საკმარისი გამოცდილება, მექანიზმები და საშუალება აქვს იმისთვის, რომ ქვეყნებს შორის დაამკვიდროს ახალი უსაფრთხოების მოდელი, რომელიც თანამშრომლობით სფეროში ფართომაშტაბიან ქსელს შექმნის. ასეთი სტრატეგიული მისიის განხორციელებით, ნატო არა მხოლოდ შეინარჩუნებს პოლიტიკაში ტრანსატლანტიკურ ერთობას, არამედ ის ასევე პასუხს გასცემს 21-ე საუკუნის სულ უფრო სერიოზულ გამოწვევებს უსაფრთხოების სფეროში. თავად უსაფრთხოების ცნების გაფართოებასთან ერთად, დემოკრატიულ თუ დემოკრატიის გზაზე შემდგარ სახელმწიფოთათვის ამგვარ ცვლილებებს გარდაუვლად მოაქვს უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მენეჯმენტისა თუ შესაბამისი რეფორმების გატარების რთული ამოცანა. ამასთან, უსაფრთხოების სექტორის დემოკრატიული მართვა დამოკიდებულია ნატოს განვითარებაზე. უკვე კლასიკად ქცეული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების თეორიაც, არსებითად, სექტორის რეფორმირების თანამედროვე მოთხოვნებიდან მთავარს, უსაფრთხოებისა თუ თავდაცვის ძალებზე სამოქალაქო კონტროლის აუცილებლობას ქადაგებს და მის ოპტიმალურ ფორმებს ეძებს.

უახლოეს წარსულში განვითარებულმა მოვლენებმა ნათლად ცხადყო, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი 21-ე საუკუნეში წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ თანამედროვე საერთაშორისო ორგანიზაციას საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში. ნატოს ასევე დიდი როლი მიუძღვის საერთაშორისო კონფლიქტების დარეგულირებაში. ყოფილი იუგოსლავიის, ტერიტორიაზე მომხდარი კონფლიქტი. რომელიც ვერც ეუთომ ვერც გაერომ და ვერც სხვა კონფლიქტების დარეგულირებაზე

მომუშავე რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციამ ვერ შეძლო შეეჩერებინა ის სისხლისღვრა, რომელიც ჯერ ბოსნიის, ხოლო მოგვიანებით კოსოვოს ტერიტორიაზე წარიმართა. მხოლოდ ალიანსის აქტიური ჩარევის შედეგად მოხდა ორივე ზემოაღნიშნულ კონფლიქტის შეწყვეტა. ნატომ ამ რეგიონებში საომარი მოქმედებების დასრულების შემდეგაც უზარმაზარი სამუშაოები ჩაატარა კონფლიქტისშემდგომი რეაბილიტაციის მიმართულებით.

**ნატომ არის საქართველოსთვის უსაფრთხოება?** საქართველოს ევროატლანტიკური უშიშროების სისტემაში შეერთება მნიშვნელოვნად შეამცირებს თანამედროვე უშიშროების საფრთხეებს ევროპისათვის, როგორცაა ტერორიზმი, იარაღითა და ნარკოტიკებით არალეგალური ვაჭრობა, ტრეფიკინგი, არალეგალური მიგრაცია და ორგანიზებული კრიმინალი. სასარგებლოა რეგიონისათვის: უსაფრთხოების უზრუნველყოფა სამხრეთ კავკასიაში აუცილებელია. რეგიონის სტრატეგიული მნიშვნელობა გაიზარდა ბოლო წლების განმავლობაში, ახალი მილსადენების აშენებით ენერჯით სავსე კასპის რეგიონიდან შავ და ხმელთაშუა ზღვაში. კარგი მდებარეობიდან და სატრანზიტო პოტენციალის სრული რეალიზაციიდან გამომდინარე რეგიონს შეუძლია მნიშვნელოვნად მოახდინოს ევროპისათვის ენერჯის მიწოდების დივერსიფიკაცია და გახდეს მომავალი ევროპის ენერჯო უსაფრთხოების გარანტი საქართველო, როგორც ნატოს წევრი ქვეყანა, იქნება სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობის წყარო და მოდელი. საქართველო, როგორც ნატოს წევრი უზრუნველყოფს კავკასიაში უშიშროების გარანტიას და გაზრდის სტაბილურობას, როგორც ეს მოხდა ბალტიისპირეთის, სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის და განსაკუთრებით, დასავლეთ ბალკანეთის რეგიონში. სასარგებლოა ევროპისათვის საქართველოს ნატოში ინტეგრაცია იმიტომ, რომ გაფართოვდება დემოკრატიული სივრცე აღმოსავლეთით. განვითარდება დემოკრატია კავკასიაში, ევროპა ისარგებლებს საერთო უსაფრთხო სივრცითა და სანდო პარტნიორობით ისე რომ განხორციელდეს საერთაშორისო უსაფრთხოება და სტაბილურობა. საქართველოს სურვილი რომ გახდეს ნატოს წევრი, მოდის შორეული წარსულიდან, გარდა ამისა განვლო რთული გზა დღემდე და აგრძელებს კვლავ ბრძოლას.

მე-20 საუკუნის მიწურულს, ზესახელმწიფოთა შორის ჭიდილი დასკვნით ფაზაში იყო შესული, ცივი ომი თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა. საბჭოთა კავშირის მისწრაფებამ, მუდმივად და მზარდი ტემპებით აეღორძინებინა სამხედრო მრეწველობა, კრაზი განიცადა. მისმა ეკონომიკამ ამ ყოველივეს ვერ გაუძლო და ჩამოიშალა. 1991 წლისთვის ეჭვგარეშე იყო, რომ საბჭოთა კავშირი დაიშლებოდა. ჩემ მიერ ნახსენები შეუქცევადი პროცესი ჯერაც არ იყო დასრულებული, როდესაც რუსეთმა, საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ, თავისი ინტერესების გავრცელება დაიწყო პოსტსაბჭოთა ქვეყნებში. გამოწვევის არ წარმოადგენდა კავკასიის რეგიონი და საქართველო. იმთავითვე ნათელი იყო, რომ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არ აპირებდა გულხელდაკრეფილი შეხვედროდა მის ირგვლივ საერთაშორისო

სამართლის ახალ სუბიექტთა სიმრავლეს, რუსეთი ასე მარტივად არ დატოვებდა სტრატეგიულად ისეთ მნიშვნელოვან რეგიონს, როგორც არის კავკასია. საქართველოს რესპუბლიკის ლეგიტიმურმა ხელისუფლებამ ზვიად გამსახურდიას თაოსნობით სწრაფად დაიწყო სათანადო რეფორმების გაფორმება ქვეყნის ძალოვან სტრუქტურებში. თუმცა ესეში ნახსენებმა რეფორმებმა ქვეყნის თავდაცვის უნარიანობას ვერაფერი შეჰმატა იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ 1991 წელს სახელმწიფო გადატრიალება დაიწყო. ქვეყანაში შეიქმნა საგანგებო მდგომარეობა. ე.წ. ოპოზიციური ძალების ქმედებები ქვეყანას სამოქალაქო ომისკენ მიაქანებდა. საქართველო სასიცოცხლო ინტერესებს საფრთხე დაემუქრა. 1991 წლის 22 დეკემბერს კი ძმათა სისხლისღვრა დაიწყო. უზენაესი საბჭოს მიმდებარე ტერიტორია ომის ქარცეცხლში გაეხვა. თბილისის მთავარი ქუჩები სავსე იყო ტანკებითა და სხვადასხვაგვარი სამხედრო ტექნიკით. ქართველებმა დავივიწყეთ, რომ “შენს ქვეყანას ომს ვერასოდეს მოუგებ და საკუთარი სამშობლო კიდევ ერთხელ გავწირეთ.” პოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე შექმნილ ვითარება სწორად იყო შესაფასებელი. ქართული შენაერთების წვრთნა დაჩქარებული ტემპით. შეიქმნა პარადოქსული ვითარება: მათ რუსი ინსპექტორები წვრთნიდნენ. შევარდნაძის ქმედებებს საპასუხო რეაქცია მოჰყვა. მისი მოკვლა არაერთხელ სცადეს. ქვეყანაში არსებული ანარქიის ნიადაგზე აფხაზეთში გაჩნდა სეპარატისტული კერები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ქართველებსა და აფხაზებს შორის ეთნიკური კონფლიქტის გაღვივებას, ეს ყოველივე კი მოსკოვიდან იმართებოდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ 1992 წლის 23 ივლისს არძინბამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა და აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს კონსტიტუციის მოქმედება შეაჩერა. აღნიშნული ქმედება უდავოდ წარმოადგენს ქვეყნის კონსტიტუციური წესწყობილების დარღვევას, რომელიც მიმართული იყო მისი ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფისკენ. საქართველოს ხელისუფლების წინაშე წარმოიშვა ახალი პრობლემა, რამაც გარკვეულწილად ქვეყანაში არსებული სამხედრო შენაერთების მობილიზება და საერთო მიზნით გაერთიანება შეძლო: ისტორიულად ქართული ტერიტორია საქართველოს შემადგენლობაში უნდა დარჩენილიყო. აფხაზეთის ომი 1992წლი 14 აგვისტოს დაიწყო. უცხოელი ჟურნალისტი ამ მოვლენას ასე ახასიათებს: “სოხუმი – პრიზი მახინჯი და ხანგრძლივი ომისა. 1993 წლის 27 სექტემბერს სოხუმი დაეცა. ეს დღე ტრაგიკულია ნებისმიერი ქართველისათვის. ნებისმიერი ქართველის ვალია ახსოვდეს საქართველოს ეროვნული გმირის ჟიული შარტავას სიტყვები “ბოლომდე ვიბრძოლოთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია, ისეთი ბიჭები იხოცებიან, რომ ძნელია ამის შემყურეს სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ ბედისწერას ვერსად გაექცევი.”

აფხაზეთის ომით არ დამთავრებულა ქართველთა ბრძოლა ტერიტორიული მთლიანობისათვის. საქართველომ პოლიტიკური ვექტორი მთლიანად დასავლეთისკენ მიმართა და ეს ჩვენი სამხედრო ძალებით ნატოს ოპერაციებში მონაწილეობით დაადასტურა. 1999 წლიდან საქართველო აქტიურად არის ჩართული



ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში. პირველი ასეთი ოპერაცია იყო ყოფილი იუგოსლავიის სამშვიდობო მისია, რომელშიც 20 ქართველი სამხედრო მოსამსახურე გაიგზავნა. ჯერ კიდევ ედუარდ შევარდნაძის დროს დაიწყო მკვეთრი სამხედრო რეფორმები, რომლის ახალი ტალღა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ დაიწყო. განხორციელდა არაერთი სტრუქტურული რეფორმა. გადანაწილდა სამინისტროთა შორის კომპეტენციები. ცვლილებების უმეტესობა სწორედ ძალოვან სტრუქტურებს შეეხო. თავდაცვის სამინისტრომ პასუხისმგებლობა აიღო შინაგან ჯარზე და სამხედრო დანაყოფები თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადაიყვანეს, ხოლო შინაგან საქმეთა სამინისტრო ძირეულად შეიცვალა.

დღეს საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე დიდი კონტრიბუტორია ნატოს სამშვიდობო ოპერაციებში. დღითიდღე ვუახლოვდებით ნატოს სტანდარტებს, იმართება წვრთნები. ამის ნათელი მაგალითია წვრთნა სახელწოდებით „ღირსეული პარტნიორი“. ამ ყოველივეს შემდგომ ვიმედოვნებთ, რომ მალე გავხდებით წევრი ამ სამხედრო ალიანსისა, რათა სრულიად აღვადგინოთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და მშვიდობა შევინარჩუნოთ.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მიზანია უსაფრთხო, დემოკრატიული და სტაბილური გარემოს შექმნა. აღნიშნულის მისაღწევად 90-იანი წლებიდან დღემდე საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ რუსეთი სტრატეგიულად ვერ ეგუება იმას, რომ ქვეყნები, რომლებსაც ის საკუთარ ექსკლუზიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს, გახდნენ სუვერენულები. ეს პირდაპირ საქართველოს ეხება, რუსეთისთვის მიუღებელია თვითონ იდეაც კი რომ საქართველო და უკრაინა უსაფრთხოების გარანტიით ისარგებლებენ.

საქართველოში არის ასეთი კომპლექსი, რომ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და ჩვენ მაგივრად გადაწყვეტილებებს იღებენ მოსკოვში, ბრიუსელში, ვაშინგტონში. სინამდვილეში ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, რა პოზიციაში ვაყენებთ საკუთარ თავს ევროპასთან მიმართებით.

მთლიანობაში საქართველოში განხორციელდა ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს სამი ვიზიტი -2008, 2011 და 2013 წელს, რაც წარმოადგენს უპრეცედენტო რაოდენობას საბჭოს მიერ არაწევრ ქვეყნებში განხორციელებული ვიზიტების კუთხით. საქართველო, როგორც ევროატლანტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორი ქვეყანა, აქტიურად იღებს მონაწილეობას ნატო-ს ეგიდით წარმოებულ სამშვიდობო ოპერაციებში. ამ ჩართულობით საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საერთაშორისო სტაბილურობასა და უსაფრთხოების განმტკიცების პროცესში. გარდა ამისა, საქართველოს შეიარაღებული ძალები იძენენ მნიშვნელოვან გამოცდილებას. მნიშვნელოვანია საქართველოს ჩართულობა ნატო-ს სამშვიდობო მისიებში: ქართული სამხედრო დანაყოფები ჩართულები იყვნენ 1999-2008 წლებში კოსოვოში მიმდინარე სამშვიდობო ოპერაციებში (KFOR-Kosovo Forces).

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს წვლილი ავღანეთის აწ უკვე დასრულებულ საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების ოპერაციაში (ISAF-International Security Assistance Force), სადაც საქართველო 2004-2014 წლებში მონაწილეობდა. აღნიშნულ ოპერაციაში მონაწილე ნატო-ს არაწევრ პარტნიორ ქვეყნებს შორის კონტინგენტის რიცხოვნობით საქართველოს პირველი ადგილი ეკავა. 2015 წლიდან საქართველო განაგრძობს ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობას და ჩართულია ნატო-ს სწრაფი რეაგირების ძალებში (NRF-NATO Response Force). ჩვენი ქვეყნის პოლიტიკა ორი მიმართულებით მიმდინარეობს – ევროკავშირისა და ნატო-ს.

***არის თუ არა ნატო-ს გაფართოება საფრთხე რუსეთისათვის?***

ამ კითხვაზე პასუხია, თუ რა არის ნატო. ნატო არის დემოკრატია, სტაბილურობა, კანონის უზენაესობა, თანამშრომლობა, სანდოობა. ნატო ეს მხოლოდ ის ორგანიზაცია არ არის, რომელსაც ბევრი ტანკი ჰყავს. ნატო – ეს არ არის რაღაც ჯარი, რომელიც ბრიუსელში დგას, ეს მართვისა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების სისტემაა. ეს არის სისტემა, რომელიც ეკონომიკური თანამშრომლობის საფუძველიცაა. ნატო-ს საერთაშორისო სამსახური IPAP-ის განხორციელების შედეგებს ყოველწლიურად აფასებდა. 2004-2008 წლებში სულ 5 შეფასება განხორციელდა (4 ოფიციალური და 1 არაოფიციალური). 2015 წლის 1-2 დეკემბერს ბრიუსელში ნატო-ს საგარეო მინისტრიალი გაიმართა, მინისტრიალის შედეგად მიღებულ დოკუმენტში მოკავშირეებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ერთგულება ნატო-ს ღია კარის პოლიტიკის მიმართ. ასევე, აღნიშნულ დოკუმენტში პირველად მოხდა იმის დადასტურება, რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული მექანიზმი ნატო-ს წევრობისთვის მოსამზადებლად.

საბოლოო ჯამში მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ნატო არის სამშვიდობო ორგანიზაცია, რომლის მისიაცაა სწორედ მსოფლიოში დაამყაროს უსაფრთხოება და მშვიდობა. ჩვენსთანა პატარა ქვეყნისთვის ეს წარმოადგენს დიდ ძალას, უპირატესობას და გამარჯვებას საკუთარ თავზე. მრავალჭირგადანახადი, ნაომარი, თითქოსდა დაუძღვრებული ქვეყანა იბრძვის მუდამ დღემდე და შვებას, შველას ხედავს ნატოში, ჩვენც, ის თაობა, რომელიც მოვესწარით უახლესი ისტორიის რამდენიმე მძიმე მონაკვეთს, ვხედავთ რომ კარი ღიაა და ერთი ნაბიჯი გვაკლია იმ შედეგამდე, რომელსაც ასე რუდუნებით ველით.

გამოყენებული ლიტერატურა:

[2] [http://www.nato.int/cps/en/natohq/topics\\_52060.htm](http://www.nato.int/cps/en/natohq/topics_52060.htm)

[7] <http://carnegieeurope.eu/strategieurope/?fa=63093>

სტატია „ნატო და უსაფრთხოება“

<https://www.nato.int/nato-welcome/>

ნატო და დასავლეთ ევროპის უსაფრთხოება